თიბისი ბანკი

# გორგოლაჭიანი საოფისე სავარძლების შესყიდვა



სს “თიბისი ბანკი” აცხადებს ღია ელექტრონულ შესყიდვას გორგოლაჭიანი საოფისე სავარძლების შესყიდვაზე. დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის - www.tenders.ge საშუალებით.

**შესაძენი პროდუქტის აღწერილობა** (ზომები არის საორიენტაციო, თუმცა მაქსიმალურად გასათვალისწინებელი):

გორგოლაჭიანი სავარძელი ბექ-ოფისის თანამშრომლებისთვის - 150 ცალი

სკამის ფერი: შავი
სიმაღლეში მარეგულირებელი მექანიზმით.
ბაზა: პლასტიკი ან პოლინირებული ალუმინი
დასაჯდომი: ნაჭერი.
საზურგე: ბადე.
სავარძლის სახელური: **ვერტიკალურად რეგულირებადი**.
საერთო ზომები: მაქსიმალური სიმაღლე ☒100სმ, სიმაღლე დაწეულ მდგომარეობაში ☒95სმ, სიგანე ☒62სმ, სიღრმე ☒60სმ.
ზურგის სიმაღლე:☒50სმ, სიგანე ☒47სმ.
დასაჯდომის სიგანე:☒50სმ, სიღრმე ☒50სმ.
სახელურის სიგრძე:☒25სმ, სიმაღლე: ☒30სმ, სიღრმე ☒7სმ.
ფეხის დიამეტრი: ☒60სმ.

მომწოდებელი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში გონივრულ ვადაში წარადგინოს შემოთავზებული საქონლის ნიმუში, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში უზრუნველყოს ნიმუშის შესაბამისი საქონლის მოწოდება.

მოთხოვნილი რაოდენობის შესყიდვა განხორციელდება ერთ ეტაპად. მოწოდების სასურველი ვადა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.

**მონაწილეობის პირობები**

პროცესში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია:

- ***დანართი N1*** *- კომპანიის რეკვიზიტები;*
- ***დანართი N2*** *- ფასთა ცხრილი და მოწოდების პირობები;*
- ***დანართი N3*** *- აფიდავიტი*
- ***დანართი N4*** *- KYP*

**პროცესის მსვლელობასთან და პროცესთან დაკავშირებულ კითხვებზე დაუკავშირდით:**
ვახტანგ ქიტუაშვილი - 599 88 45 30; vkituashvili@tbcbank.ge

**პროდუქტთან დაკავშირებულ კითხვებზე დაუკავშირდით:**
გიორგი აბესალაშვილი - 577 077 759; GAbesalashvili@Tbcbank.ge

**შემოთავაზებების მიღების ბოლო ვადა 05.05.2025, 12:00 -18:00 საათი**

თიბისი ბანკი

- შესყიდვის პროცესში გამარჯვების კრიტერიუმია - ღირებულება;
- პრეტენდენტის მიერ მოთხოვნილი ავანსის ოდენობამ შესაძლოა განსაზღვროს საბოლოო შედეგი, რა შემთხვევაშიც დამატებით კომუნიკაცია შედგება აღნიშნულ პრეტენდენტთან;
- ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს აშშ დოლარში, დღგ-ს ჩათვლით;
- წარმოდგენილი დანართები უნდა იყოს სრულად შევსებული, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული, PDF ფორმატში;
- ვაჭრობა გაიმართება ჯამურ ღირებულებაზე;
- შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;
- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი განახორციელებს ვაჭრობას, ვალდებულია წარადგინოს ფასკლების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის მიხედვით დაკორექტირებული დანართი N2;
- გამარჯვებული ვალდებულია ანგარიშსწორებისთვის წარადგნოს თიბისი ბანკის საბანკო რეკვიზიტები;
- მიუხედავად ელ. ვაჭრობის შედეგისა მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი წინადადების ვადა უნდა შენარჩუნდეს მინ. 30 კალ. დღე.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge.
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს შესყიდვის პროცესი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე ბანკი იტოვებს უფლებას შესყიდვა სცნოს ანულირებულად თუ პროცესში მონაწილეობას მიიღებას მხოლოდ ერთი კომპანია.
- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**გისურვებთ წარმატებას.**